ტოპ|ქარდის ინდივიდუალური ხელშეკრულების პირობების
ცალმხრივი ცვლილების შესახებ

გამარჯობა,

გაცნობებ და გთხოვ, გაითვალისწინე, რომ შენს და სს „პაშა ბანკ საქართველოს“ შორის გაფორმებული „ტოპ|ქარდის“ ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი ცალმხრივად ცვლის ამავე ხელშეკრულების პირობებს, კერძოდ, ხელშეკრულებას ემატება შემდეგი პუნქტები/პირობები:

> *„კლიენტი ითვალისწინებს და ადასტურებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოითხოვს ტოპ|ქარდის დამატებით ბარათს, კლიენტის მიერ განსაზღვრული დამატებითი ბარათის მფლობელი - ტოპ|ქარდის დამატებითი ბარათით, შეძლებს კლიენტის ტოპ|ქარდის ანგარიშებზე არსებული თანხების სრულად ან ნაწილობრივ განკარგვას, მათ შორის, კლიენტისთვის დამტკიცებული განვადების ლიმიტით სარგებლობას. კლიენტი პასუხისმგებელია ტოპ|ქარდის დამატებითი ბარათით, დამატებით ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებული ტრანზაქციებისათვის (განაღდება, გადარიცხვა, გადახდა) და ითვალისწინებს, რომ დამატებითი ბარათის გამოყენებით გახარჯული განვადების ლიმიტი სრულად მის საკრედიტო ვალდებულებას წარმოადგენს და პასუხისმგებელია, წინამდებარე და გენერალური ხელშეკრულებებით დადგენილი წესით, ათვისებული განვადების ლიმიტის დაბრუნებისათვის.“*
>
> „დამატებითი ბარათის მფლობელმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიიღოს შეტყობინებები დამატებითი ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ კლიენტის ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი ნაშთის, მათ შორის, ხელმისაწვდომი განვადების ლიმიტის მითითებით.“

შეგახსენებ, რომ იმ შემთხვევაში თუ არ ეთანხმები ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებს, უნდა გვაცნობო შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში და უზრუნველყო ვალდებულების სრულად დაფარვა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიყენებ აღნიშნულ უფლებას, შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება შენ მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, მითითებული პირობების შესაბამისად.

წინამდებარე ცვლილებები ძალაშია 2022 წლის 26 ივნისიდან.

მადლობა, რომ სარგებლობ ჩვენი მომსახურებით!